

შპს „ბი ემ სი შარმი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		344	253
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		134	248
ავანსები მომწოდებლებთან		9	6
მარაგები	4.2	1,628	1,462
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		2,115	1,969
<u>არაფულადი აქტივები</u>			
ძირითადი საშუალებები	4.5	222	254
არამატერიალური აქტივები		2	2
სულ ფიქსირებული აქტივები		224	256
სულ აქტივები		2,339	2,225
<u>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები		827	569
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		3	17
მოგების გადასახადი	5	4	4
სულ მიმდინარე ვალდებულებები		835	590
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
გრძელვადიანი კრედიტი		0	0
გადავადებული გადასახადი		102	102
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		102	102
სულ ვალდებულებები			
<u>საკუთარი კაპიტალი</u>			
საწესდებო კაპიტალი		906	906
გაუნაწილებელი მოგება		497	627
სულ საკუთარი კაპიტალი		1,403	1,533
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,339	2,225

შპს „ბი ემ სი შარმი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი		3,945	4,078
რეალიზაციის თვითღირებულება		(2,429)	(2,611)
საერთო მოგება		1,515	1,467
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	6	(331)	(313)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,212)	(522)
ფინანსური ხარჯები		0	0
ფინანსური შემოსავლები		5	7
კონვერტაციის ხარჯები, ნეტო		(24)	(62)
სხვა ხარჯები		0	0
სხვა შემოსავლები		21	8
წლიური შემოსავლები მიმდინარე ოპერაციებიდან		(25)	585
მოგების გადასახადი	5	0	(106)
წლის წმინდა მოგება		(25)	479

შპს „ბი ემ სი შარმი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 ათას ლარში

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	238	375
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(39)	(208)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(105)	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	94	167
სავალუტო კურსის ეფექტი	-3	-7
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	253	93
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	344	253

შპს „ბი ემ სი შარმი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	906	148	1,056
წლის მოგება		479	479
გაცემული დივიდენდები		0	0
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	906	627	1,533
წლის მოგება		(25)	(25)
გაცემული დივიდენდები		(105)	(105)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	906	497	1,403

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში

1. ინფორმაცია „კომპანიების“ შესახებ

შპს „ბი ემ სი შარმი“ 2012 წლიდან არის სანტექნიკისა და კერამიკული ფილების მწარმოებელი ბრენდის Vitra-ს ექსკლუზიური დისტრიბუტორი და რეალიზატორი საქართველოში. ბაზრის მოთხოვნის ტრენდების შესაბამისად, შპს „ბი ემ სი შარმი“ რეგულარულად ამარაგებს დეველოპერულ პროექტებს სხვადასხვა ტიპის პროდუქციით, როგორებიცაა: სარემონტო მასალები, სანტექნიკა, ფილები, მატრასები, საშხაპე მინები, პროფესიონალური, მზიანი დღის პირობებში მაღალი სიკაშკაშისა და გარჩევადობის ეკრანები, დეკორატიული რადიატორები და ა.შ.

2019 წლისათვის კომპანია წარმოდგენილია საცალო გაყიდვების ორი შოურუმით თბილისსა და ბათუმში, ხოლო საპროექტო გაყიდვების არეალი მოიცავს საქართველოსა და სომხეთს.

2020 წლიდან კომპანია გეგმავს საცალო და საპროექტო გაყიდვებთან ერთად საბითუმო გაყიდვების წერტილების ათვისებას: სამშენებლო მასალების სავაჭრო ცენტრები, DIY ჰიპერმარკეტები და სხვა.

აეროპორტის ზრდისა და სასტუმრო ბიზნესის განვითარების პარალელურად 2021 წლისთვის კომპანია აპირებს რიგით მესამე მონობრენდული შოურუმის გახსნას ქუთაისში.

ბრენდთან არსებული კონტრაქტის საფუძველზე, სამომავლოდ კომპანია ფიქრობს ასევე სომხეთში, ერევანში Vitra-ს შოურუმის გახსნას, რაც დამოკიდებული იქნება იქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო პროექტების შემოსვლაზე.

გარდა არსებული ბრენდების განვითარებისა, მიმდინარე წლიდან კომპანიამ დაიწყო ზრუნვა სხვა საერთაშორისო ბრენდების მოძიებაზე, ძირითადად საცალო შეთავაზების პორტფელის გასაზრდელად. კომპანია განიხილავს, როგორც სხვადასხვა ტიპის სარემონტო მასალებს ასევე სხვა ნებისმიერ პროდუქციას, რომლებზეც ქვეყანაში არის შექმნილი მოთხოვნა. განიხილება როგორც ევროპული (მაღალი სეგმენტისთვის) ასევე ჩინური ბრენდები (დაბალი და საშუალო სეგმენტისთვის).

2. მომზადების საფუძვლები

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4.2 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობა მისი ოპერაციული საქმიანობის ამოცანებს შეესაბამება.

4.3 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

4.4 სავაჭრო და დებიტორული დავალიანება

კომპანიის დებიტორული დავალიანების სტუქტურა შედგება მიმდინარე მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებისგან. 2018 წლის მდგომარეობით უიმედო ვალის არსებობა არ ფიქსირდება.

4.5 ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოადგენს საოფისე ტექნიკასა და შოურუმების გამართვისათვის საჭირო ხარჯების კაპიტალიზებად ნაწილს.

5. მოგების გადასახადი

2017 წლის ანგარიშგებაში დარიცხულია გადავადებული მოგების გადასახადი 106 ათასი ლარის ოდენობით.

6. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები

	2018	2017
სარეკლამო ხარჯები	68	36
მანქანის იჯარა	220	219
ტრანსპორტირების ხარჯები	42	58
მანქანის ტექ. მომსახურება	1	0
	331	313

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასები	909	312
დაზღვევის ხარჯები	15	6
ცვეთა და ამორტიზაცია	71	60
საბანკო ხარჯები	30	25
მივლინების ხარჯები	13	12
კომუნალური ხარჯები	52	38
საკანცელარიო ხარჯები	2	2
საკომუნიკაციო ხარჯები	6	4
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	17	7
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	97	56

1,212

522

8. თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

2018 წელს კომპანიას დაუფიქსირდა ზარალი, მაშინ როცა 2017 წელი კომპანიამ მოგებით დაასრულა. აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით გაეცა წინა წლების განმავლობაში დაგროვილი პრემიები დირექტორისათვის კომპანიის განვითარებაში განვლილი პერიოდის განმავლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის გამო.

9. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ არსებობს საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან კორექტირებას.